



ISBN: 978-9941-0-7011-2

დაბეჭდილია საქართველოში / Printed in Georgia
დაბეჭდილია შპს "კონტროლ პეს" მიერ / Printed by LTD Ctrl P

© 2014 GeoAIR

© ფოტოების უფლებები ეკუთვნით ავტორებს / Photo rights belong to their authors
ყველა უფლება დაცულია / All rights reserved
პუბლიკაციის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუქცია დაუშვებელია გამომცემლის
წერილობითი თანხმობის გარეშე / No part of this publication may be reproduced
in any form without the written permission of the publisher

www.geoair.ge

geoair



თბილისის დაკარგული ბიძიანი.
საბჭოთა პერიოდის მოზაიკები

LOST HEROES OF TBILISI.
SOVIET PERIOD MOSAICS

პუბლიკაცია გამოცემულია პროექტ „სივრცეების“ (SPACES) ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ, აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურის პროგრამის მეშვეობით.

This publication is issued in the framework of SPACES project,
funded by the European Union through the Eastern Partnership Culture Programme.

პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების ხედვას. ევროკავშირი არ იღებს პასუხისმგებლობას
მოცემული ინფორმაციის შემდგომ გამოყენებაზე.

This publication reflects the views of the authors only. The European Union can not be held responsible for any use
which may be made with the information contained herewithin.



GEOAIR

თბილისის დაკარგული გმირები.
საბჭოთა პერიოდის მოზაიკები

geoaïr

LOST HEROES OF TBILISI.
SOVIET PERIOD MOSAICS

GEOAIR
2014

თბილისის დაკარგული გმირები.
სახაზოთა პერიოდის მოზაიკაში



გამომცემელი: გეოფარი
რედაქტორი: ნინო ფალავანდიშვილი
თარგმანი: ქეთი ხელაძე
კორექტურა: დათა ჭილაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნინო ფალავანდიშვილი

ფოტოების ავტორები: სოფო ლაპიაშვილი, თამარა ბოკუჩავა (სამხედრო ქარხანა „მიონი“), ოლექსანდრ ბურლაკა (შადრევანი გოგლა ლეონიძის პარკში, „ლაგუნა ვერე“, წყალქვეშა ინსტრუმენტების ყოფილი ქარხანა, „ექსპო ჯორჯია“, პოლიტიკური განათლების ყოფილი სახლი), გოგა დემეტრაშვილი (სუპერმარკეტის ინტერიერი ცინცაძის ქუჩაზე), საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონო-დოკუმენტების ცენტრალური არქივის ფოტოკოლექცია (დეკორატიული კედელი მეტროსადგურ რუსთაველთან)

ყდის ილუსტრაცია: ავტორი უცნობია, 1970-იანი წლები, საქართველოს ტელეცენტრის აღმინისტრაციული შენობა, მთანმინდის პარკი

LOST HEROES OF TBILISI.
SOVIET PERIOD MOSAICS



Publisher: GeoAIR

Editor: Nini Palavandishvili

Translation: Keti Kheladze

Proofreading: Data Chigholashvili

Design and layout: Nini Palavandishvili

Photo credits: Sophia Lapiashvili, Tamara Bokuchava (Mioni Military Factory), Oleksandr Burlaka (Fountain in Gogla Leonidze Park, Laguna Vere Swimming Pool, Former Factory of Underwater Instruments, Expo Georgia and Former House of Political Education), Goga Demetrashvili (Interior of the supermarket on Tsintsadze Street), photo collection of the Central Archive of Audio-Visual and Film Documents at the National Archives of Georgia (Decorative wall at Metro Station Rustaveli)

Cover illustration: Author: n/a, 1970s, Administrative building of Georgian Teleradiocenter, Mtatsminda Park

geodair

სარჩევი / CONTENTS

შესავალი
სოფო ლაპიაშვილი / ნინი ფალავანდიშვილი
/ 7 /

ქოსმონავტების, მოცურავე ქალებისა და
ფენმეიზე კურდღლების შესახებ
ლენა პრენტი
/ 19 /

INTRODUCTION
SOPHIA LAPIASHVILI / NINI PALAVANDISHVILI
/ 31 /

ON COSMONAUTS, FEMALE SWIMMERS AND
PREGNANT HARES
LENA PRENTS
/ 39 /

geodair

შესავალი

სოფო ლაკიაშვილი /
ნინო ფალავანდიშვილი

ეს პუბლიკაცია/ღია ბარათების კრებული მოიცავს საბჭოთა პერიოდში 70-80-იან წლებში, თბილისის საჯარო სივრცეში შექმნილ მონუმენტურ-დეკორატიულ მოზაიკებს.¹ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ისინი დღესაც ხშირად და ბევრგან შეიმჩნევა, სისტემური კვლევა მათ შესახებ აქამდე არ ჩატარებულა. მრავალი მათგანი განადგურებისა და გაქრობის საფრთხის წინაშე დგას. შესაბამისად, ეს კრებული ემსახურება მათ აღწერა-დოკუმენტაციას და გადარჩენის მიზნით, მათი მხატვრული ღირებულების კუთხით გაანალიზებას. კრებულში, ძირითადად, წარმოდგენილია მონუმენტური პანოები, ასევე, შადრევნები, აუზები და ისეთი დეკორატიული ელემენტები, როგორებიცაა საყვავილე ქოთნები. ეს ნამუშევრები შესრულებულია როგორც სმალტით, ასევე, კერამიკული ფილებით თუ მამოტით.

1 -- „მონუმენტური ხელოვნების ერთ-ერთი სახე, რომელშიც გამოსახულება, ორნამენტი შედგება ბუნებრივი ქვის, შუშის, კერამიკის, ხის ან სხვა ნაირფერი მასალებისაგან,“ ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=7&t=377> [ნახვის თარიღი: 18.10.2014].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხელოვნების ეს მიმართულება მთლიანად იქნა უგულებელყოფილი, რაც უმეტესწილად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით იყო განპირობებული. ხანგრძლივმა მატერიალურმა სიდუხჭირამ არსებული ნიმუშების ეტაპობრივი დაზიანება განაპირობა. დღესდღეისობით მათი შენარჩუნებისთვის არ არსებობს არც პოლიტიკური ნება და სამწუხაროდ, არც პროფესიონალების ჩამოყალიბებული აზრი ან საზოგადოების მხრიდან ფართო დაინტერესება.

ჩვენი ინტერესი მონუმენტურ-დეკორატიული მოზაიკისადმი განპირობებულია ბოლო 20 წლის განმავლობაში საჯარო სივრცეში მიმდინარე ინტენსიური ცვლილებებით. ერთის მხრივ, ეს დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ისტორიის კულტურული თუ ვიზუალური მახსოვრობიდან პირდაპირი ამოშლის სურვილთან. მეორეს მხრივ - მიმდინარე გლობალურ ნეო-ლიბერალურ პოლიტიკასთან (ამ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაუქმებული ან ნახევრადფუნქციური სანარმოების პრივატიზება), რომელიც საჯარო სივრცეს გარდაქმნის ისეთად, სადაც საზოგადოების ჩართულობა ქრება. ზოგადად, ჩვენი ურბანული გარემოს უსისტემო ტრანსფორმაციამ, არაპროფესიონალების მიერ წარმოებულმა ჩარევებმა ქალაქის სახის ჩამოყალიბებაში, ფასადურმა „შელამაზებებმა,“ შედეგად მოიტანა საჯარო სივრცეში არსებული მოზაიკების განადგურება.

ეს პრობლემა არა მხოლოდ თბილისს ეხება. წინამდებარე პუბლიკაციაში განხილული ტენდენციები სიმპტომატურია მთელი ქვეყნისთვის. თუმცა, აქ ასახული ვიზუალური მასალა, შეზღუდული დროის და სახსრების გამო, შემოიფარგლება მხოლოდ თბილისში არსებული მოზაიკების აღწერა-ლოკუმენტაციით.

გზამკვლევის ფორმაც ჩვენმა მიზანმა განაპირობა. ვვსურს, რომ ისინი ფართო საზოგადოებას გავაცნოთ, ადგილობრივ მოსახლეობას გავახ-

სენოთ, ხოლო საქართველოთი დაინტერესებულ ტურისტებს ვაჩვენოთ ჩვენი ახლო წარსულის მემკვიდრეობა. ვიმედოვნებთ, რომ მათ ღირებულებებზე ხაზგასმით, გაიზრდება ფართო საზოგადოების ინტერესი მათი შენარჩუნებისადმი. მნიშვნელოვანია ამ ნამუშევრების დოკუმენტაცია, მასალის თავმოყრა და ანალიზი, რამეთუ ისტორიის გააზრება ერთადერთი გზა მისი ობიექტური აღქმისა და შეფასებისათვის. მასთან დაკავშირებული გამოსახულებების განადგურება მიგვიყვანს მის არასწორ ინტერპრეტაციასთან. ამასთან ერთად ვთვლით, რომ რაც არ უნდა „ცუდი“ ყოფილიყო საბჭოთა სისტემა, იგი ჩვენი ისტორიის ნაწილია და მასთან ასოცირებული ფორმების თუ გამოსახულებების განადგურებით, ისტორიას ვერ წაუშლით. მითუმეტეს, რომ გააზრება უფრო შედეგიანი და მართებული იქნებოდა, ვიდრე იგნორირება. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა პერიოდთან ასოცირებული არქიტექტურის მისთვის დამახასიათებელი ხელოვნების ფორმების და ნამუშევრების შენარჩუნებით, დღეს ჩვენი მიზანია არა საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდა, არამედ მათი მხატვრული ღირებულების გააზრება, გაცნობიერება და დაფასება.

მოზაიკის ხელოვნება 4000 წელს ითვლის, როცა თავდაპირველად ზედაპირის მოსართავად გამოიყენებოდა თიხის ნატეხების გამოყენება დაიწყო. ძვ. წ. VIII საუკუნეში უკვე არსებობდა ფერადი ქვებით დაგებული ქვაფენილები, ჭერისა თუ იატაკის მოპირკეთება, თუმცა მათ წყობაში საერთო ნახაზი არ შეინიშნებოდა. ზუსტი გეომეტრიული ორნამენტები და ადამიანების, მცენარეების და ცხოველების მოზაიკური გამოსახულებები მოგვიანებით, ძვ. წ. IV საუკუნეში, საბერძნეთში გაჩნდა, სადაც მოზაიკა ხელოვნების დარგად იქცა. რომში მოზაიკა ძირითადად იატაკების მოსაგებად გამოიყენებოდა, ხოლო ბიზანტიაში შენობების, ძირითადად ტაძრების ჭერისა და კედლების შემკობა დაიწყო. „განასხვავებენ მოზაიკური ნაწარმოებების ორ ტიპს: 1) ნაწარმოები, რომელიც შედგენილია შუშის ან ქვის პატარა კუბებისაგან (ანტიკურ ხანაში წარმოშობილი ე.წ. რომაული მოზაიკის ტექნიკა); 2) ნაწარმოები,

რომელიც აიგება მრავალფეროვანი მარმარილოსა და იასპის (მინერალი) თხელი ფირფიტებისაგან, რომლებიც გამოიჭრება და გამოსახულების კონტურების ერთმანეთთან მისადაგების საფუძველზე შეადგენს ნახატს (ე.წ. ფლორენციული მოზაიკა).²

მოზაიკა, როგორც ხელოვნების დარგი არც ქართული ხელოვნებისათვის იყო უცხო. 1971-77 წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სოფელ ძალისის მიდამოებში, დიონისეს ტაძარში აღმოჩნდა ახ. წ. II საუკუნის იატაკის მოზაიკური მხატვრობა. 1952-54 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბიჭვინთაში აღმოაჩინა IV საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა. ტაძრის იატაკი დაფარული იყო V საუკუნის მოზაიკური მხატვრობით. მოზაიკა შედარებით კარგად იყო დაცული საკურთხევლის აფსიდსა და სტოაში/კარიბჭეში, ასევე - ცალკეული ფრაგმენტები ტაძრის სხვადასხვა ადგილებში (ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). მოზაიკური მხატვრობის ნიმუში, ასევე, შემორჩენილი იყო მცხეთის მცირე ჯვრის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის კონქში. VII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება წრომის ტაძრის მოზაიკა. მხატვრობის უმეტესი ნაწილი არ შემორჩენილა, შედარებით მოზრდილი 3 ფრაგმენტი კი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება. მოზაიკის ფონი შედგება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ოქროს კენჭებისგან, შავი და სხვადასხვა ელფერის წითელი, შეღებილი კირქვისგან, მოყისფრო და ბაცი მწვანე ადგილობრივი ქვისგან. XII საუკუნით თარიღდება ქართული მონუმენტური ხელოვნების მაღალ-მხატვრული ძეგლის, გელათის მოზაიკა.³

2 -- იქვე.

3 -- ი. აბაშიძე (რედ.), „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. VII, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი 1984, გვ. 65.

XII-XIII საუკუნეებიდან მოზაიკის ხელოვნება არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა თუ არაბეთის ქვეყნებში, ზოგადად, დაიწყო მთელი. იგი შემდგომ გამოყენებას პოუვებს უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული (უესტმინსტერის საკათედრო ტაძარი, ლონდონი, 1895-1903 წწ., საკრე-კერი, პარიზი, 1884-1914 წწ. და არტ ნუვოს, განსაკუთრებით ანტონიო გაუდის ხელოვნებაში). შემდგომ ამ დარგმა ძალიან დიდი პოპულარობა პოვა იმდროინდელ სოციალისტურ ქვეყნებში, მაგალითად, პოლონეთი, გერმანია და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ქვეყნები. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში მოზაიკის ხელოვნებამ ერთგვარი „აღორძინება“ განიცადა, მონუმენტურ ფერწერასთან და ბარელიეფებთან ერთად, იგი ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ფასადების თუ ინტერიერების მოსართავად. ხშირად იგი საბჭოთა იდეოლოგიის და პოლიტიკური ნების გამტარებლად უფრო იქმნებოდა, ვიდრე წმინდა ხელოვნების კუთხით. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მან ფორმის ცვლილებაც განიცადა და ხშირი იყო ბარელიეფური მოზაიკის კომპოზიციები.

ზოგადად, მოზაიკის შესრულების სხვადასხვა ტექნიკა არსებობს. ყველაზე ფასეული და ხარისხიანი საბჭოთა დროს იყო სმალტის ნატეხებით შესრულებული მოზაიკები. სმალტა წარმოადგენს გაუმჭვირვალე, დაფერილი მინის შენადნობს, რომელიც მოზაიკის შესაქმნელად იმსხვერვა მცირე ნატეხებად, მაგრდება საგამოსახულებო სიბრტყეზე, რის შედეგადაც იკრება კომპოზიცია. საბჭოთა პერიოდში საქართველოში სმალტა უკრაინიდან და ბალტიის ქვეყნებიდან შემოდიოდა და ადგილობრივად მუშავდებოდა. ვიდრე ნამუშევარი აწყობოდა ადგილზე (ანუ ობიექტზე), იგი მზადდებოდა სახელოსნოებში. კეთდებოდა ორიგინალის ზომის ფერადი ესკიზი, რომელიც იყოფოდა კვადრატებად. ეს კვადრატები იწყობოდა მშრალად, გამჭვირვალე ქაღალდზე გადმობრუნებული სახით, ესმებოდა წებო და შემდეგ გადადიოდა მოზაიკისთვის განკუთვნილ კედელზე. სმალტის გარდა, არსებობს კერამიკული ნატეხების ან კენჭებისგან აწყობილი მოზაიკები, მათი

შესრულება სმალტის ტექნიკის იდენტურია. ასევე, გამოიყენებოდა თიხის მგსასვი შამოტის მასალა. ეს არის ლუმელში გამომწვარი და დაფერილი ფილები, რომლისგანაც იწყობოდა კომპოზიცია. არსებობს ისეთი იშვიათი ტექნიკაც, როდესაც სხვადასხვა ზომის ხის ნაჭრები დაფარულია ბათქაშის მონასმებით და შემდეგ დაფერილია ტემპერის საღებავით.

საბჭოთა პერიოდის მოზაიკა დღეს ქალაქის საჯარო სივრცის განუყოფელი ნაწილია. საბჭოთა პერიოდში და განსაკუთრებით 60-80-იან წლებში მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების პოპულარიზაცია, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია არსებული იდეოლოგიის პროპაგანდასთან, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების და ქალაქების ზრდასთან, ასევე, ისინი ასახულია საჯარო დანიშნულების შენობა-ნაგებობებში და ხშირად, არქიტექტურის განუყოფელი ნაწილია. საბჭოთა კავშირში მოზაიკა მასიურად გვხვდება 70-80-იან წლებში, რომლის განვითარებაც საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ზურაბ წერეთლის სახელს. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მოზაიკის ხელახლა გამოყენებას მონუმენტურ-დეკორატიულ დარგში. კერძოდ, ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის მოზაიკების შექმნა (1959-67 წწ.) გახდა საწყისი ამ დარგის განვითარებისა. თუკი ინტერიერებში ხშირად ვხვდებით კედლის მხატვრობას, ფასადებისთვის გამძლეობის მხრივ საუკეთესო საშუალება იყო მოზაიკა. მოზაიკური პანოები თავსდებოდა არა მარტო ქალაქების ცენტრალურ ადგილებში, არამედ, რეგიონებში, პატარა სოფლებსა თუ დასახლებებშიც. უმეტესწილად, ისინი საზოგადოებრივი დანიშნულების ან/და ინდუსტრიული სანარმოების ფასადებზე იქმნებოდა, თუმცა, ინტერიერში საზოგადოებრივი თავშეყრის ისეთ ადგილებშიც არსებობდა, როგორცაა სასადილოები და საკონცერტო ან საკონფერენციო დარბაზები. ურბანულ გარემოში ხშირია ცალკე მდგომი დამოუკიდებელი დეკორატიული კონსტრუქციები კედლის თუ შადრევნების აუზების სახით, მაშინ როდესაც პატარა დასახლებულ პუნქტებში უფრო ხშირად ვხვდებით მოზაიკით გაფორმებულ ავტობუსის გაჩერებებს,

საკურორტო ადგილებში კი - კომპლექსურ სამგანზომილებიან კომპოზიციებს (მაგალითად, ბიჭვინთასა და ქობულეთში). უნიკალური მაგალითია ბათუმის ბულვარში შემონახული, მთლიანად მოზაიკით გაფორმებული რვაფეხას ფორმის არქიტექტურული კონსტრუქცია, რომელსაც თავის დროზე კაფის ფუნქცია ჰქონდა. ამ ნამუშევრების ავტორები, ხშირად, იმ დროის საუკეთესო ხელოვანები იყვნენ, რამაც ბევრი მოზაიკის მაღალი მხატვრული ღირებულება განაპირობა.

მოზაიკებზე ჩვენი მუშაობის დანწყებისთანავე აღმოჩნდა, რომ საბჭოთა პერიოდში არსებული ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით, ეს დარგი საერთოდ არ არის შესწავლილი, ნამუშევრები არ არის თავმოყრილი, დოკუმენტირებული და დაარქივებული, არ არსებობს მათი აღრიცხვა და შესაბამისად, ბევრი მათგანის ავტორი და შექმნის წელიც უცნობია, რაც გვაფიქრებინებს რომ მას, როგორც ხელოვნების დარგს, ხშირად არასერიოზულად უდგებოდნენ. ძნელი ვახდა ობიექტებზე მონაცემების მოძიება. ვერც მხატვართა კავშირში, ვერც არქივებში და ვერც ბიბლიოთეკებში გადავანწყდით საჭირო ინფორმაციას. უმეტესწილად ცოცხალ ავტორებთან დაკავშირების გზით მოხერხდა სხვა რამდენიმე ავტორის ვინაობის დადგენა (ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ამ ადამიანების მახსოვრობას ვენდეთ) და ზოგადად, საქართველოში მოზაიკების წარმოების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ეს შეხვედრები ძალიან დაგვეხმარა ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა იმ დროის სისტემა და რა გზები თუ მექანიზმები არსებობდა კონკრეტულად მოზაიკების დაკვეთიდან მათ სისრულეში მოყვანამდე.

ყველა დაკვეთა იყო სახელმწიფო და მისდიოდა მხატვართა კავშირს და მასთან არსებულ სამხატვრო ფონდს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არსებობდნენ ადამიანები, დღევანდელი ვაგებით მენეჯერები, სანარმოებს (დამკვეთს) და მხატვართა კავშირს შორის შუამავლები, რომლებიც საბჭოთა კავშირის

მასშტაბით იზიდავდნენ დაკვეთებს. შემდგომში ეს დაკვეთა ფორმდებოდა მხატვართა კავშირის და ფონდის დაქვემდებარებაში არსებული სამხატვრო სანარმოო კომბინატის საშუალებით. სპეციალური კომისია აცხადებდა კონკურსს ესკიზზე, რის შედეგადაც რეგულირდებოდა ნამუშევრის ხარისხი, ან დაკვეთა ხარისხის და სირთულის მიხედვით პირდაპირ ნაწილდებოდა კონკრეტულ მხატვრებზე.

ერთი შეხედვით სამართლიანი სტრუქტურა, საკმაოდ რთული შესაღწევი იყო. მხატვრები რიგში იდგნენ სასურველი შეკვეთის მისაღებად, გამომდინარე იქიდან, რომ მოზაიკა ყველაზე იოლი „ფულის შოვნის“ საშუალება გახლდათ. მისი ღირებულება ღვინდებოდა როგორც კომპოზიციური და მხატვრული სირთულით, ასევე ფერადოვნების მიხედვით. ანაზღაურება საკმაოდ მაღალი იყო, საიდანაც დამკვეთს საკმაოდ დიდი თანხა უკან უბრუნდებოდა. ჩვენი კვლევის შედეგად ისიც გაირკვა, რომ არანაირი გეგმა და სისტემა მათი საჯარო სივრცეში განთავსებისათვის არ არსებობდა. მოიზიდავდა შუამავალი დაკვეთას, მოდიოდა ინიციატივა დამკვეთისგან თუ პირადად ხელოვანი მოისურვებდა რომელიმე კონკრეტულ ადგილას ნამუშევრის გაკეთებას, მოსკოვი არ იშურებდა მორიგ პროპაგანდაზე რეკლამებს და „ავგაგნიდა“ სახსრებს. ამგვარმა სისტემამ განაპირობა ის, რომ მოზაიკური ნამუშევრები „კონვეიური პრინციპით“ იქმნებოდა, რის გამოც ზოგ მათგანს დაბალი მხატვრული ღირებულება აქვს და ტექნიკური შესრულების ხარისხითაც არ გამოირჩევა. არსებობდა დაკვეთის უფრო იოლი და ნაკლებხარჯიანი გზაც, როდესაც დამკვეთი პირდაპირ უკავშირდებოდა შემსრულებელს. ამ შემთხვევაში, მათ არ უნდა გაეელოთ ის ბიუროკრატიული პროცესი, რომელიც მხატვართა კავშირში იყო. ასეთ დროს ნამუშევარს კერამიკული ფილებისგან ასრულებდნენ, რომელიც თბილისში, ნავთლუღის კერამიკის კომბინატში მზადდებოდა. ასეთ შემთხვევაში ხარისხის კონტროლი შეუძლებელი იყო, რამაც განაპირობა ბევრი ნამუშევრის დაბალი ხარისხი. გასაკვირი და საინტერესოა ის ფაქტიც, რომ უმეტესწილად თავად მხატვრები და

ბშირად ავტორები თავიანთ მოზაიკურ ნამუშევრებს სერიოზულად არ აღიქვამენ, მის არც მხატვრულ ღირებულებას აფასებენ და არც ისტორიულ მნიშვნელობას. ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი ნამუშევრისადმი ადასტურებს ამ „კონვეირის“ მუშაობას.

თუმცა, ეს კრიტიკა არ შეიძლება განვავრცოთ ქართულ სივრცეში შექმნილ ყველა მოზაიკაზე. ბევრი მათგანი დღემდე ალაფრთოვანებს მნახველს, თავისი როგორც მხატვრული, ასევე, ტექნიკური შესრულებით. მათ რიცხვში შეგვიძლია მოვიხსენიოთ კურორტ აბასთუმანში არსებული, სამწუხაროდ, საკმაოდ დაზიანებული, მოზაიკური პანო (ავტორი: საურმაგ ღამბაშიძე), ყაზბეგისკენ მიმავალ გზაზე მდებარე დიორამა (ავტორები: ზურაბ კაპანაძე, ზურაბ ლეჟავა, ნოდარ მალაზონია, ვიორჯი ჩახნავა), ასევე, დღევანდელი „ექსპო ჯორჯიას“ საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული მოზაიკები (ავტორები: ჯურამ კალანდიაძე, ლეონარდო შენგელია), საცურაო კომპლექს „ლაგუნა ვერს“ დეკორატიული ფრიზი (ავტორი: კოკა ივნატოვი).

მოზაიკების თემატიკა განისაზღვრებოდა კონკრეტული შენობის ფუნქციიდან გამომდინარე. საწარმოებზე არსებული მოზაიკები ტექნოლოგიური თუ მეცნიერული პროგრესის, შრომის განდიდებას ემსახურებოდა. დამოუკიდებელი კონსტრუქციების იკონოგრაფია ძირითადად ნაციონალური სიმბოლიკით არის დატვირთული ან ეროვნული ლიტერატურის გმირებს და სიუჟეტებს ასახავს. ზოგიერთი მათგანი სუფთა დეკორატიული ხასიათისა და საინტერესოა, რომ მამინ როდესაც საბჭოთა ხელოვნებაში ბოლო პერიოდამდე არ არსებობდა და არ იყო აღიარებული აბსტრაქციონიზმი, ასეთი სახის გამოსახულებები იძლეოდა აბსტრაქტიზებული აზროვნების ხელოვნებაში გამოხატვის საშუალებას.

ის ნამუშევრები, რომლებიც განადგურებას გადაურჩა, დღევანდელი საჯარო სივრცის ნაწილად რჩება და ჯერ კიდევ იქცევა საზოგადოების ყურადღებას.

კვლევის მანძილზე შეგვხვდა ობიექტები, რომლებსაც რესტავრაციაც კი გაუკეთდა და ახალმა „მეპატრონეებმა“ საგულდაგულოდ მოუარეს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ზემოთნახსენები „ექსპო ჯორჯიას“ საგამოფენო კომპლექსის მოზაიკები, საცურაო აუზ „ნეპტუნის“ ინტერიერის მოზაიკა, ასევე, ცინცადის ქ. (ყოფილი საბურთალოს ქ.) #7-ში მდებარე სასურსათო მაღაზიის ინტერიერის მოზაიკა, სამაშველო სამსახურის 112-ის საბურთალოს ფილიალის ფასადისა და თბილისის სახანძრო სამსახურის მუზეუმის ინტერიერის მოზაიკები, რომლის დაცვაც 90-იან წლებში მის ხელმძღვანელს დიდ ენერჯიად და რისკის ფასად დაუჯდა; „პროფკავშირების კულტურის ცენტრზე“ არსებული მოზაიკა (ავტორი: ზურაბ წერეთელი), რომელიც თანამშრომლების თქმით, იმის გამო რომ იგი კერძო მფლობელობაშია, ვერ გავეთდა მისი დამონტაჟი და შესაბამისად, შენობაც და მოზაიკაც გადაარჩა. მაგრამ უმეტესი მათგანის მდგომარეობა მაინც გაურკვეველი და საგანგაშო რჩება. ამ ეტაპზე გაურკვეველია თბილისში არსებული მოზაიკების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითის, საცურაო კომპლექს „ლაგუნა ვერეს“ მოზაიკის (ავტორი: კოკა ივანტოვი) ბედი. კერძო მფლობელობაში არსებული შენობა უკვე ერთი წელია რემონტის საბაბით დაკეტილია და არსებობს მისი დემონტაჟის შესახებ მოთქმა-მოთქმა. სამწუხაროდ, დროს, კერძო ინტერესებს და ნიჰილიზმს შეეწირა ისეთი მნიშვნელოვანი მოზაიკები, როგორებიც იყო რესტორან არაგვის, ლალიძის წყლების მაღაზიის, ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტის თუ რუსთაველის მეტროს შესასვლელის მოზაიკები. ჩვენ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ ეს მოზაიკები შეგვეტანა ჩვენს კრებულში და ამ სახით მაინც შემოგვენახა ისტორიისთვის.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი პუბლიკაცია კპოვებს მოწონებას და აღძრავს ინტერესს საზოგადოებაში, რაც საბაბი გახდება ვაგაფართოვით ჩვენი კვლევა და მოვახდინოთ გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი მოზაიკების და ზოგადად, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების დოკუმენტაცია და ამ ჩვენი პატარა საქმიანობით, იქნებ, მათ შენარჩუნებასაც შევწყობთ ხელი.

გვსურს, დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც აქტიურად დაგვეხმარა მასალის მოპოვებაში, მოზაიკების მიგნებასა და ავტორების ამოცნობაში. განსაკუთრებული მადლობა ნინო სირაძეს და ალექსი კედელაშვილს, რომელნიც, ენთუზიაზმით იღწვიან საბჭოთა პერიოდის მოზაიკების დოკუმენტაციისთვის და გაგვიზიარეს მათ მიერ მოპოვებული მასალა, ასევე, ნიკა წიკლაურს და ზურა დუმბაძეს საქართველოს მასშტაბით მოძიებული მოზაიკების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისთვის.

უმთავრესი მადლობა ყველა იმ ხელოვანს, რომელიც თავის შემოქმედებით კარიერაში მუშაობდნენ მოზაიკების შექმნაზე და მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები დღემდე გვილამაზებენ გარემოს.



geodair

კოსმონავტიკის, მოცურავე ქალებისა და ფეხმძივი კურღლებიანების შესახებ

ლენა კრანცი

უბრალოდ კოსმონავტი

geodit

1969 წელს დევიდ ბოუიმ, მისივე თქმით, სტენლი კუბრკის ფილმის „2001: კოსმოსური ოდისეა“ შთაბეჭდილების ქვეშ, დაწერა სიმღერა „კოსმოსური უცნაურობა“ (Space Oddity). ვერცხლისფერ-ფანტაზიურ კოსტუმში გამოწყობილი ბოუი საკუთარ გმირს, გალაქტიკებს შორის, სივრცეში დაკარგული კოსმოსური ხომალდის ასტრონავტს - მაიორ ტომს განასახიერებს. „პლანეტა დედამიწა ლურჯია და ვერაფერს ვიზამ“ (“Planet Earth is blue and there’s nothing I can do”) - მღეროდა ბოუი და ამით, უსაზღვრო კოსმოსით მოხიბლულობის გარდა, დაბნეულობისა და სიმართლის გრძნობასაც გამოხატავდა. „კოსმოსურმა უცნაურობამ“ ბოუის ფანები თითქმის ისტერიულ მდგომარეობაში ჩააგდო და ფაქტობრივად, ააფეთქა ბრიტანეთის მუსიკალური „ჩარტები.“

დასავლური პოპ-კულტურის ამგვარ მოვლენებს, რომლებიც დიდრის

დიდერიხსენის¹ განმარტების თანახმად, კოსმოსის ათვისების პარალელურად ვითარდებოდა, საეჭვოა რაიმე გავლენა მოეხდინა საბჭოთა კავშირის რეალობაზე. აქ კოსმოსით დაინტერესებას საკუთარი მოტივაცია ამოძრავებდა - სამყაროს დაპყრობაში პირველობის და უძლეველობის სურვილი, რაც არ საჭიროებდა გარედან შემოსულ რაიმე იმპულსებს. მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ძალი ლაიკა ორბიტაზე და პირველი ადამიანი კოსმოსში საბჭოთა წარმოშობის იყვნენ. ამერიკელებისაგან განსხვავება და მათზე უპირატესობა ლინგვისტურადაც იყო გამაგრებული: იური გაგარინის სტატუსი განისაზღვრა როგორც „მფრინავი-კოსმონავტი“, რაც დედამიწის ორბიტის გარშემო ფრენას მიანიშნებდა, როდესაც „ასტრონავტი“ მხოლოდ დედამიწიდან 100 კმ-ზე მეტ მანძილზე ასვლას გულისხმობდა. კოსმოსმა ფანტასტიკის წიგნებიდან რეალობაში გადაინაცვლა, მან შეავსო კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება და მონუმენტური პანოები, რომლებიც სსრკ-ს შენობებს ამშვენებდა. თბილისში კოსმონავტები უწონობაში ფრენენ საქართველოს ტელეცენტრის ადმინისტრაციული შენობის და წყალქვეშა ხელსაწყობების ყოფილი ქარხნის მოზაიკებში. საბავშვო ბაღ „ონავარი“-ს მოზაიკაზე კოსმოსის სერიოზულ დამყარებელს ხელები ცისკენ აღუმართავეს, ხოლო ხელსაწყოთა ყოფილ ქარხანაზე - საპატიო სალაშში აქვს ხელი აწეული. იგი პროფილშია გამოსახული სამკერვალო ქარხნის გალავანზე და მცირე ზომის ქვებისგან შეკრული, ანფასში - ყოფილ ჰიდრო-მეტეოროლოგიური ინსტიტუტის შენობაზე (რომელიც ამჟამად აღარ არსებობს). ვერ ვიტყვი, რომ ამ გამოსახულებებს გმირული ამაღლება ახასიათებთ. თუმცა, მათში არც ბოუის გმირისთვის დამახასიათებელი ემოციური და ადამიანური თვისებები გამოსჭვავის. მოზაიკის კოსმონავტები, როგორც წესი, განასახიერებენ მხოლოდ პროფესიას, რომელნიც სხვებთან ერთად, სამშობლოს

1 -- Dierich Diederichsen, *Pop-Musik und Gegenkultur*, in „The Whole Earth. Kalifornien und das Verschwinden des Außen“, Dierich Diederichsen, Anselm Franke (Hg.), Berlin/New York: Sternberg Press/Haus der Kulturen der Welt, 2013, p. 21.

კეთილდღეობისთვის აუცილებელს და სასარგებლოს წარმოადგენენ. კოსმოსის დამპყრობლები კედლის დეკორირების ერთიან პროგრამაში არიან ჩაწერილი, რომელიც ცალხაზოვნად, გამომწვევად და ოპტიმისტურად აცხადებს: ახალ საბჭოთა ადამიანს ყველაფერი ხელეწიფება.

სამუშაო ოპტიმიზმი?

სსრკ-ს შენობებზე განთავსებული მონუმენტური ფრესკები, კედლის რელიეფები, ნახატები და მოზაიკები რევოლუციურ წლებს უკავშირდება. 1918 წელს ლენინის ინიციატივით შეიქმნა მონუმენტური პროპაგანდის გეგმა, რომლის თანახმადაც რევოლუციური მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები ავითარებდა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის უნდა შექმნილიყო. ბოლშევიკებმა, თავის დროს, გამოიყენეს ახალგაზრდებზე მექსიკელი რევოლუციონერების გამოცდილება, რომლებმაც მოუწოდეს Los Tres Grandes-ს „მურალისტ“-ფერმწერებს: დიეგო რივიერას, დავიდ ალფარო სიკეიროსსა და ხოსე ოროზკოს, მიენვდინათ მასებისთვის რევოლუციური სული ქალაქების ფერწერული გაფორმების მშვეობით.

პროპაგანდის მიზნებისთვის ქალაქის სივრცის გამოყენების ლენინისეული კონცეფცია ფაქტობრივად არ ყოფილა უარყოფილი, იგი უბრალოდ ცვლილებებს განიცდიდა ბელადების გემოვნების, პოლიტიკური კონიუნქტურისა და საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით. 1955 წელს, ნიკიტა ხრუშოვის დროს გამოსული სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „პროექტირებასა და მშენებლობაში ზედმეტის აღმოფხვრის შესახებ“ თავად არქიტექტურას უფრო ეხებოდა, ვიდრე შენობებზე მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებს. დადგენილებაში გაკრიტიკებული იყო „კოლონები, არკადები, რთული კარნიზები და სხვა დეტალები, რომლებიც შენობებს არქაულ იერს გვრიან“ და ნეკატური მაგალითის სახით მოყვანილი იყო თბილისი „საქნახშირის“ კომპინატის

ადმინისტრაციული შენობა თავისი „დეკორატიული ხასიათის, პრაქტიკულად გამოუყენებელი, 55 მ. სიმაღლის კოშკით.“² მომდევნო, სტალინური ნეოკლასიციზმიდან ტიპურ ბლოკურ ფუნქციონალიზმზე გადასვლის წლებში, დასახული მიზნის - მონუმენტური ხელოვნებისა და არქიტექტურის სინთეზის მისაღწევად აქტიური მოძრაობა მიმდინარეობდა. უმაღლეს სამხატვრო სასწავლო დაწესებულებებში შეიქმნა მონუმენტური ხელოვნების ფაკულტეტები. სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების კურსდამთავრებულები ფლობდნენ რელიეფების, მოზაიკის, ფრესკებისა და გრაფიტოს დამზადების რთულ ტექნოლოგიებს. უურნალი „სსრკ დეკორატიული ხელოვნება“ და კრებული „საბჭოთა მონუმენტური ხელოვნება.“ რომელიც 1973 წლიდან იბეჭდებოდა, თეორიული ანალიზისა და არქიტექტურისა და მონუმენტური კომპოზიციების ურთიერთქმედების განხილვის ფორუმებად გადაიქცა.



დანყებული 1960-იანი წლებიდან საბჭოთა ქალაქების საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლები სულ უფრო ხშირად ირთვებოდა მოზაიკური პანოებით. თბილისური მოზაიკების იკონოგრაფია გვაჩვენებს, რომ ადგილობრივად, მაკონტროლებელი ცენტრისგან მოშორებით, იფარგლებოდნენ განხორციელებისთვის რეკომენდირებული პერსონაჟებისა და სიუჟეტების სტანდარტული კომპლექტით, რომელშიც შედიოდა სოციალისტური საზოგადოების და საბჭოთა ადამიანის სხვადასხვა მიღწევები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ასევე, ეროვნული ტრადიციებისადმი მიმართვა. მოზაიკებზე ასახული კოსმონავტები და სხვა პროფესიების წარმომადგენლები მისაბაძ აჩქეტიპებად არიან წარმოჩენილნი. ზოგადად, ისინი უკიდურესი კონცენტრაციისა და ქმედებისათვის მზადყოფნის მდგომარე-

2 -- სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილება № 1871 „პროექტირებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“ <http://www.sovarch.ru/postanovlenie55/> [ნახვის თარიღი: 12.10.2014].

ობაში არიან გამოსახულნი. გორგასლის ქუჩა #34-ში სახანძრო სადგურის შენობაზე განთავსებული მესხანძრე, რომელიც ძველი და ახალი თბილისის ფონზეა გამოსახული, მიგვანიშნებს, რომ იგი ქალაქს ნებისმიერი ხანძრისგან დაიცავს. ელექტროშემდუღებელი ხელსაწყოების ქარხნის შენობაზე არსებული მშენებლები უფრო მეტად გაალამაზებენ ქალაქს. ყოფილ პიონერთა სასახლეზე გამოხატული პიონერები დამოუკიდებლად გაუმკლავდებიან საგზაო მოძრაობის რეგულირებას. პანოს კომპოზიცია ტექნიკური უნივერსიტეტის მეტროს გაჩერებაზე, მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოების ნებისმიერ წევრს - მწყემსიდან, სოფლის მეურნეობის მუშაკიდან და მშენებლიდან დანწყებული, მსახიობით, ლაბორანტით და მეცნიერ-ფიზიკოსით დამთავრებული - შეუძლია საკუთარი ადგილის პოვნა. ნამდვილი გმირი ისეთი ატარებს, როგორც სტალინის პერიოდში, რომელიც რაღაც ზედაშიანურს სჩადის, არამედ ის, ვინც მორიდებულიად, მიზანმიმართულად და კონცენტრირებულად შრომობს საკუთარ სამუშაო ადგილზე, როგორც არ უნდა იყოს იგი.

სსრკ სახალხო მიღწევათა გამოფენის დეკორატიულ პანოს უნდა წარმოეჩინა საბჭოთა საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სრული ევოლუცია. ეს უწყვეტად აღმავსებელი მოძრაობა და გაუმჯობესება თხრობით ფორმაშია გადმოცემული, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ უნდა წავიკითხოთ: ბორბლით ხელში ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუციდან, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების საწყისად არის წარმოდგენილი, ატომებითა და სამრეწველო მექანიზმებით აღჭურვილი, თანამედროვედ ჩაცმული ახალგაზრდა კაცების და ქალების ჩათვლით.

სპორტი, როგორც შიდა და გარე აუდიტორიისათვის სახელმწიფოს იმიჯის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, ასევე, ფიგურირებს თბილისის მოზაიკურ და რელიეფურ გამოსახულებებში. ამ სიუჟეტებში უფრო მეტი დინამიკაა, რომელიც ან გეომეტრიული ფორმების კომპოზიციების (მაგალითად, დეკორატიული კედელი კახეთის გზატკეცილზე) ან სპორტს-

მენის ფიგურის მოდელირების (ტანვარჯიშის ცენტრი) მეშვეობით არის მიღწეული. საქართველოს ოლიმპიური რეზერვების საწვრთნელი ეროვნული ცენტრის კედელზე გამოსახული სამი მოცურავე ქალი მარტონი კი არ არღვევენ წყლის ტალღებს, არამედ მოზაიკის კუთხეებში ჩაძვნილი თევზები, მზე და რვაფეხა ამოძრავებენ თავის კიდურებს, ფარფლებს, სხივებსა და საცეცხებს, რითიც ხაზს უსვამენ სპორტსმენი ქალების მოძრაობას. დ. გულუას მოედანსა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში განლაგებულ მოზაიკურ პანოებზე ასახულია ეროვნული ტრადიციები და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მრავალფეროვანი კულტურა, თავისი ლეგენდებითა და ზღაპრებით.

შენობების კიდევსა და ფასადებზე გამოსახული მოზაიკური ხელოვნების პიკი 1970-1980-იან წლებზე მოდის. ეს, უპირველეს ყოვლისა, პანელური მშენებლობის ტიპებისა და სერიების გაფართოებასთან არის დაკავშირებული. იმ პერიოდის მშენებლობისა და არქიტექტურის სპეციალიზირებული ლიტერატურა აჭრელეულია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სივრცეების დაგეგმარებისა და შესაძლო დაკომპლექტების ნიმუშებით. რუსულ ენაზე ითარგმნება უცხოელი ავტორების ნივნები დასავლური არქიტექტურის ყველაზე პერსპექტიული მაგალითების შესახებ. სპეციალისტებს შორის აღინიშნება აზროვნების აუცილებლობა არა მხოლოდ ცალკე აღებულ შენობასთან მიმართებაში, არამედ ზოგადად არქიტექტურულ-სივრცით სტრუქტურებშიც, მოზაიკებსა და რელიეფებს სხვადასხვა დანიშნულება ენიჭება, რაც წარმატებით ხორციელდება - მოზაიკური პანოები ხაზს უსვამენ ს. ცინცაძის ქუჩაზე განლაგებული 112 სამაშველო სამსახურის (სახანძრო სადგურის) შენობის სტრუქტურას და ფასადის დანაწევრებას. მოზაიკა მიანიშნებს შენობის დანიშნულებაზეც. მაგალითად, ყოფილ ტურისტულ ბანაკში არსებული დეკორატიული კედლის ფრიზი მხიარული დამსვენებლებით, თუ #16 ავტომობილების შემკეთებელ სახელოსნოზე მოწყობილი ადამიანებისა და მანქანების ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი სურათები გვაგებინებენ თუ რა

არის შენობის შიგნით განთავსებული. „ლაგუნა ვერეს“ საცურაო აუზის რელიეფურ-მოზაიკური ფერიზი მზითა და ლურჯი ტალღებით, არა მარტო შენობის დანიშნულებას გვიხსნიან, არამედ შესანიშნავად ერწყმიან მის არქიტექტურას და ხაზს უსვამენ მის მოცულობას. გამოყოფისა და მარკირების იგივე ფუნქციის მატარებელია „პროფკავშირების კულტურის ცენტრის“ შენობის მოზაიკებიც, რომლებიც ქუჩის მხრიდან შენობის ძირითად სივრცით ფორმას - კუბს, ჩარჩოდ მოსდევენ. მათი სახვითი მნიშვნელობა არ არის ნათელი, თუმცა, მომხიბვლელია. ორნამენტების მჭიდრო ხლართებში განლაგებულია თანტასტიკური და რეალური ცხოველები. მათ შორის დომინირებს უზარმაზარი, სიმეტრიული კურდღლების წყვილი სელაპისმაგვარი კიდურებით. მოზაიკაზე გამოსახული კურდღლები, რომლებიც უძველესი დროიდან ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენენ, მართლაც ფეხმძიმედ არიან სხვადასხვა ცოცხალი არსებებით. ყურცქვიტებს შორის ადამიანის ფიგურა იკვეთება, რომელსაც ხელში ცხელი მწვეუჭირავს.

„პროფკავშირების კულტურის ცენტრის“ პანო ფლორისტული, დეკორატიული და აბსტრაქტული მოტივების კონცენტრაციას წარმოადგენს, რაც საბჭოთა დროინდელი თბილისისთვის საკმაოდ დამახასიათებელია. თუმცა, მათ შორის არ არის საბჭოთა ადამიანის გიგანტური, მოზიმი და მკაცრი გამოსახულებები, რომლის გარშემოც კომპოზიციურად ეწყობა მისი შემოქმედებითი საქმიანობის მაგალითები. ჰომო სოვიეტუკუსის მსგავს, აშკარად ხატწერიდან ნასესხებ, განდიდების ტიპს ხშირად შეხვდებით მოზაიკურ პანოებზე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქებში, თუმცა არა თბილისში. ავტობუსის გაჩერებაზე ბურთს გაკიდებულ ადამიანს სულ არ გააჩნია რომელიმე მოცემულ იდეოლოგიასთან ან სტილისტიკასთან მიმბურობის ატრიბუტები. გარდა ამისა, მას არც სქესის ნიშნები გააჩნია. მოზაიკის ამ ობიექტის განთავსება ნებისმიერ ადგილას იყო შესაძლებელი, მათ შორის კაპიტალისტურ დასავლეთშიც. სსრკ-ს სხვა დედაქალაქებისგან განსხვავებული ეს თბილისური სპეციფიკა, სადაც მრავალმნიშვნელოვან გაღანყვეტილებებს იღებდნენ, შორი ადგილ-მდებარეობით არ აიხსნება.

საეარაუდოდ, აქაც იმ ბუნდოვანი იდეოლოგიის გამოვლინებაა, რომელმაც სტაგნაციის უკანასკნელი წლები მოიცვა. ისტორიკოსი და მწერალი ლევ ლურიე საზოგადოების იმდროინდელ მდგომარეობას აღწერს, როგორც ნომენკლატურას, თავისი „უვალო იმუნიტეტებით“ და დანარჩენ მოსახლეობას შორის წარმოქმნილ უფსკრულს, რომელიც უფრო და უფრო ღრმავდება. სახელმწიფო იდეოლოგიას ეცლებოდა, „საზოგადოებამ დაკარგა მოძღვრები და სეკულარიზაცია განიცადა.“³ ამგვარ გაურკვეველობას, იდეოლოგიის სისუსტეს მივყავართ ეკონომიკასა და კულტურაში სხვადასხვა სახის პარალელური სტრუქტურების შექმნამდე, გაძრომისა და თავის დაღწევის შესაძლებლობების გახსნამდე. ეს, ერთის მხრივ, იწვევდა ისეთ გარემოებებს, სადაც მოკრძალებული, მაგრამ მაინც შემოქმედებითი გამოხატვის თავისუფლება იქმნებოდა. მეორეს მხრივ, ტყუილი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი და ბუნებრივი ნაწილი გახდა. ზუსტად ამიტომ, საბჭოეთის მკვლევარები სსრკ-ს ხშირად „სიმულაკრების სამეფოს“ უწოდებენ. დამკვეთი, რომელსაც სოციალისტურ სტილში შენობის გასაფორმებლად სახელმწიფო დაფინანსება ჰქონდა გამოყოფილი, ქმნიდა ილუზიას, რომ ის აუცილებლად იყო საჭირო. შემსრულებლებიც ისე იქცეოდნენ, თითქოს ღრმა პატივისცემით ეპყრობიან ნათელი მომავლის ავითაცის კანონებს და შესაბამის შეკვეთას. ერთნიც და მეორენიც, სრულყოფილად ფლობდნენ მოჩვენების ხელოვნებას. თბილისის მოზაიკების სტილისტიკა ზუსტად იდეოლოგიის ამ ფსევდომორჩილების და სულ უფრო ნაკლებად გასაგები ნორმებისგან გადახვევის ნათელი მაგალითია.

3 -- Lew Lurje, *Kommunismus und Kanarienvogel*, in "Berlin-Moskau, Moskau-Berlin, 1950-2000," Pawel Choroschilow, Jürgen Harten, Joachim Sartorius, Peter-Klaus Schuster (eds.), Band Kunst, Berlin 2003, p. 106.

„შენოხით“ მსოფლიო ხელოვნების ისტორიასთან

ჯერ კიდევ 1969-1978 წწ-ში, დიდ ენციკლოპედიურ ლექსიკონში განმარტებულია: „საბჭოთა ხელოვნებასა და მხატვრულ განათლებას საფუძვლად სოციალისტური რეალიზმის მეთოდი უდევს. სწავლება განიხილება, როგორც იდეური აღზრდის, სახვითი აზროვნების ფორმირებისა და ნატურის სიღრმისეული შესწავლის გზით პროფესიული რეალისტური ხელოვნების დაუფლების ერთიანი პროცესი.“⁴ საბჭოთა სამხატვრო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები სწავლობდნენ რეალისტური ხელოვნების საწყისებს, ვალდებულნი იყვნენ სისტემატურად დაეხევათ ნახატის, კომპოზიციის და კოლორიტის შესრულების ტექნიკა. მართლაც, თბილისის მრავალი მოზაიკის ფიგურული გამოცახეულებები ზუსტად ამგვარი სწავლების მოთხოვნებსა და შედეგებს ასახავენ, იმავდროულად, ინარჩუნებენ ავტორების ინდივიდუალურ ხელწერას. აქ შეინიშნება პროკლამაციური პლაკატის ხერხებიც და წიგნების გრაფიკისთვის დამახასიათებელი ხაზების სიმსუბუქეც. საინტერესოა, როგორ ახერხებდნენ მოზაიკების ავტორები ნამუშევრებში შუქ-ჩრდილების თამაშის გადმოცემას, რაც ძლიერ ფასდებოდა რუსულ აკადემიურ ფერწერაში და ისწავლებოდა ხელოვნების დარგის საბჭოთა სასწავლო დაწესებულებებში (მაგალითად, გურამ კალანდაძის მოზაიკა ყოფილი სსრკ სახალხო მიღწევების გამოფენაზე). თუმცა, თბილისის ყველა მოზაიკა და რელიეფი არ არის რეალისტურ მანერაში შესრულებული. სტილების მრავალფეროვნება განმაცვიფრებელია, ნაგებობათა გაფორმებაში ყველაფერი ფიგურირებს - აკადემიზმიდან დანწყებული, ფუტურისმისა და გეომეტრიული აბსტრაქციის ჩათვლით. მოზაიკებში ნათლად იკითხება ავტორთა მიერ მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ცოდნა.

4 -- См. О. В. Заславская, А. Л. Каганович. Художественное образование. БСЭ. 1969-1978.

<http://slovari.yandex.ru/~книги/БСЭ/Художественноеобразование/> [ნახვის თარიღი: 12.09.2014].

8. ფალიაშვილის ქუჩის 38 ნომერში განლაგებული #1 საბავშვო ბაღის მოზაიკის სტილისტიკა საოცრად ჰგავს უოან მიროს ნაწარმოებებს. ხოლო ვირზე ამხედრებული ბიჭი, რომელიც ამ მხიარული მოთამაშე ბავშვების კომპოზიციაშია ჩართული, შესაძლოა ქართველი თვითნასწავლი მხატვრის, ნიკო ფიროსმანაშვილის ტილოებიდან არის გადმოტანილი. უსახური, ოვალურ-თავებიანი ფიგურები ყოფილი ცენტრალური მაცივრის შენობაზე 1920-იან წლების ავანგარდისტ-მხატვრების ჯორჯიო დე კირიკოსა და გეორგ გროსის ნამუშევრებს წააგავს. „მითანას“ და „ტკბილი ქვეყნის“ გოგონას გამოსახულება მშვიდობის მტრედით ხელში პაბლო პიკასოს ვარიაციებისაკენ მიგვანიშნებს. გოგონას სახე თბილისურ მოზაიკაზე, პიკასოს მიერ 1951 წლის აღმოსავლეთ ბერლინის ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალისთვის შექმნილი თავშალის მსგავსად, ნიღაბივით გამოიყურება (მხოლოდ ანფასში და არა პროფილში), რომელიც ფერების მეშვეობით ორად არის გაყოფილი.

თბილისის მოზაიკების სტილისტური მრავალფეროვნების მიღმა ადვილია იმდროინდელი მხატვარ-მოზაიკოსების წარმოდგენა. ზოგიერთი ავტორის-თვის და დეკორატიული პანოს შემსრულებლისთვის ისინი ინდივიდუალური იდეის რეალიზაციად გადაიქცა. ზოგმა განზრახ ან ინტუიტიურად შეიტანა თავის ნამუშევარში დასავლური მოდერნიზმის იმდროინდელ მწირ ლიტერატურაში ნაწახი სიუჟეტები და ტექნიკები. ზოგმა დაშტამპულის სიმარტივის მკაფიო კონტრეტებსა და ჰიპერტროფირებულ ზომებში შესრულებით დაეფარა „ხალტურა“ გამოავლინა. ლიუდმილა ულიცკაიას რომანში „მწვანე კარავი,“ რომელიც საბჭოთა დროინდელ ცხოვრებას ასახავს, აღწერილია გმირი, რომელიც ცნობილ მხატვრებს „ყველანაირი კულტურის - რკინიგზისა თუ მეტალურგიული, ოღონდ ყოველთვის სოციალისტური, სასახლეების“ დეკორების დამზადებაში ეხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბორისი უზრუნველყოფილ ცხოვრებას ეწეოდა, „ეს სამსახური მას

ბრაზით აღავსებდა და აბოროტებდა.⁴⁵ შედეგად, რომანის გმირი იწყებს სოციალისტური ცხოვრების შესახებ მკაცრი კარიკატურების მოგონებას. ამ პერსონაჟით ულიცკაია ზედმინვნით განასახიერებს ასობით მხატვრისა და მათი შევირდის დილემას. მათი საქმიანობა იმ საბავშვო ელექტრონული სათამაშოს შებლუდული რადიუსის მანევრირებას წააგავს, რომლის სამართავი პულტი უფროსის ხელთაა. არსებულ სისტემაში მეტ-ნაკლებად კომფორტულად მონყობის შესაძლებლობის მიუხედავად, მას დაკმაყოფილება არ მოჰქონდა. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის უმეტესი მოზაიკების ავტორების ანონიმურობა. იგი ან კოლექტიური შრომის მანიფულირებელ კონსეფციამი იკარგებოდა ან შეგნებულად არ მუღაენდებოდა შემსრულე-ბელი მხარტერის მიერ.



მოზაიკების წაკითხვა დღესდღეობით ნიშნავს იმავდროულად მათთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებას, რომლებიც ამ პუბლიკაციაშია აღწერილი - მათ შორის, განვითარების ისტორიის და წარმოების პირობების, იკონოგრაფიისა და სტილისტიკის ასპექტების. ფაქტობრივად, შემორჩენილი მოზაიკების განხილვა საქართველოში 1970-1980იანი წწ. საბჭოთა საზოგადოების ილუსტრაციის კუთხითაც შეიძლება. მათი მეშვეობით, კარგად შეგვიძლია თვალ-ყური მივადევნოთ თუ როგორ იწყებს კულტურის კოდების, ფასეულობების და სემანტიკის წარმოება, საქარხნო ჩარხების მსგავს ჯაყჯაყს და რყევას საბოლოოდ გაჩერების წინ. „პერესტროიკის“ წლებში ამ წარმოების რღვევა აღზევებითა და ადგილობრივი ლოკალური იდენტობის, ტრადიციებისა და კულტურული ნიმუშების შექმნით იცვლება. ამ გარდაქმნის გაგება და გაცნობიერება

მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საბჭოთა საზოგადოების შესწავლას არა სიკეთისა და ბოროტების ბინარული პოზიციიდან მივუდგებით, არამედ როგორც „განსაკუთრებული ტიპის ცივილიზაციას“⁶ თავისი ნორმებით, პრაქტიკითა და კანონზომიერებებით.

დღეს მოზაიკები მრავალ ინდივიდუალურ და სრულიად განსხვავებულ მოგონებებს იწვევს. ზოგისთვის ეს უდარდელი ბავშვობის ნოსტალგიაა, ზოგისთვის - იდეოლოგიური კორსეტის სივინროვის გახსენება. შესაძლოა, ზოგი მხატვარ-მონუმენტალისტი, შენობის ფასადიდან მომზირალი საკუთარი პირმშოს დანახვისას, იხსენებს სამხატვრო საბჭოს სხდომებს, რომელმაც საწყისი ესკიზი დაუწუნა. როგორც არ უნდა იყოს ეს მოგონებები, ისინი საკუთარ ისტორიასთან გააზრებული კონფრონტაციისკენ უბიძგებენ.

დღეს თანამედროვე ხელოვნებაში ჩნდება ნამუშევრები, რომლებიც ახლებურად, ხშირად რედუცირებული ფორმისა და ახალი მედიების გამოყენების გზით, სოციალიზმის დროინდელი იმიჯების რეპროდუქციას აწარმოებენ. ისინი იმ მაყურებელთა მოგონებებზე აპელირებენ, რომლებიც ამ პერიოდს მოესწრნენ და რომლებმაც მენტალურად უნდა განაახლონ ის კავშირები და მოახდინონ საკუთარი მოგონებების რეკაპიტულაცია. მოზაიკური პანოების გამოსახულებები ამ ყავარჯენს არ საჭიროებენ - ისინი კვლავაც არსებობენ, თან ავთენტურობაც აქვთ შენარჩუნებული.

6 -- გერმანელი ისტორიკოსის, კარლ შლოგელის განმარტება. იხ: Karl Schlügel, *Kommunalka oder Kommunismus als Zivillisation. Plädoyer für eine Entdämonisierung der Sowjetgesellschaft*, Neue Zürcher Zeitung 6-7.4.1996.

INTRODUCTION

SOPHIA LAPIASHVILI /
NINI PALAVANDISHVILI

This publication/postcard collection covers the works of monumental-decorative mosaics,¹ which were created in public spaces of Tbilisi during the '70s and the '80s of the Soviet period. While one can often encounter them in various areas of the city, systematic studies about them have not been conducted so far. Many of them are facing the threat of destruction and obliteration. Hence, the purpose of this publication is to register/document them and to analyze their artistic value for saving them. This publication mainly displays monumental panels, as well as fountains, pools and decorative elements such as flower pots, all created with smalti, ceramic tiles or with chamotte.

After the collapse of the Soviet Union, this direction of art was completely neglected, mainly due to the economic condition of the country that followed it. Prolonged recession caused the gradual damage of the existing mosaics. Unfortunately, even today there is still neither political will, nor any deliberation from the professional community or public interest in conserving them.

1 -- "A piece of monumental art where the image, an ornament is made of natural stone, glass, ceramic, wood or other colorful materials," [translated] Encyclopedic Dictionary of Art, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=7&t=377> [Accessed on: 18.10.2014].

The intensive changes within public space, that have been taking place during the past 20 years, gave rise to our interest in the monumental-decorative mosaics. On the one hand, it is connected to the attempt of completely erasing the legacy of the Soviet past from cultural or visual memory. On the other hand, it also concerns the current global neo-liberal policies (in this case, mainly the privatization of abolished or partially functioning enterprises following the collapse of the Soviet Union), changing public spaces as such where public participation is disappearing. In general, unsystematic transformation of our urban environment, amateur interventions in forming the image of the city and façade “beautifications” have led to the destruction of mosaics in the public spaces of Tbilisi.

The problem, however, does not apply solely to Tbilisi. The trends described in this publication are symptomatic for the entire country. Though, due to financial and time constraints, the visual material presented in this publication concerns only the description and documentation of mosaics in Tbilisi.

The format of this travel guide was also conditioned by our goal. We would like to introduce the mosaics to the general public, remind locals about them and show the legacy of our recent past to tourists interested in Georgia. We hope that by emphasizing their value, we will be able to increase general public’s interest in preserving the mosaics. It is rather important to document them, put together and analyze the material, as understanding the history is the only way of its objective perception and assessment. The destruction of related images will lead to its improper interpretation. Besides, we believe that no matter how “bad” the Soviet system was, it is part of our history and demolition of associated forms and images cannot erase it. Its proper comprehension would be more effective and appropriate, rather than ignoring it. It should also be mentioned that by preserving architecture, forms and artworks associated with the Soviet period, we are not aiming for the propaganda of Soviet ideology, but rather to comprehend, understand and appreciate their artistic value.

The art of mosaic is about 4000 years old; it started by using the kiln-dried clay pieces on surface decorations. The roadways, ceilings and floor coverings paved with coloured stones existed already in the 8th century BC, however no specific patterns were followed. The exact geometric ornaments and mosaic images of people, plants and animals appeared later, in the 4th century BC, in Greece, where mosaic transformed into the field of art. In Rome the mosaic technique was mainly used for paving floors, while in the Byzantine Empire it decorated buildings, mostly temple ceilings and walls. The mosaic works are classified into two types: 1) works assembled from little cubes of glass or stone (the so-called Roman mosaic technique, originated in classical antiquity), and 2) works which are constructed with thin plates of colorful marble and jasper (a mineral), that are cut out and according to specific patterns create the image (the so-called Florentine mosaic).²

